



აღმოსავლეთ  
ევროპის  
უნივერსიტეტი

ონლაინ ქცევის  
ჩესების  
სახელმძღვანელო  
„ნეტოკეტი“

გზამკვლევი EEU-ს სტუდენტებისა და  
პერსონალისთვის

---

# რა არის ნეტიკეტი?



**ნეტიკეტი** (net - ქსელი + etiquette - ეტიკეტი - ქსელური ეტიკეტი) - ინტერნეტ ურთიერთობის ეტიკეტი. თქვენ ხართ ჩართული დისტანციურ სწავლასა და სწავლებაში და შესაბამისად, გასათვალისწინებელია ონლაინ ქცევის წესები, რომელთა შესრულებაც ევალებათ EEU-ს სტუდენტებსა და პერსონალს (ადმინისტრაცია, პედაგოგი). გაითვალისწინეთ, რომ წესები შექმნილია თქვენი უსაფრთხოების დასაცავად.

აღნიშული სახელმძღვანელო ვირტუალურ სივრცეში კომუნიკაციისას დაგეხმარებათ ეფექტური ურთიერთობის დამყარებაში; სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ის ძირითადი წესები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ ონლაინ კომუნიკაციისას;



## შეამოწმე კამერა და მიკროფონი, ეკრანი, ინტერნეტ-კავშირი...

ონლაინ ლექციაზე დაგჭირდებათ **კამერა და მიკროფონი, სტაბილური ინტერნეტ-კავშირი**. ლექციის დაწყებამდე შეამოწმეთ კამერა და მიკროფონი ტექნიკური ხარვეზის თავიდან აცილების მიზნით; სუსტმა ინტერნეტ-კავშირმა შესაძლოა ხელი შეგიშალოთ გამოსახულების დანახვაში ან მოსმენისას.

ლექციის მსვლელობისას პედაგოგის მოთხოვნის გარეშე არ გააზიაროთ თქვენი ეკრანი და სხვა დოკუმენტები;



## ვირტუალური აუდიტორია

გაითვალისწინეთ, როდესაც იყენებთ ონლაინ მეცადინეობის პლატფორმას, გახსოვდეთ, რომ ეს გახლავთ ვირტუალური აუდიტორია/სალექციო ოთახი და უნდა მოიქცეთ ისე, როგორც ჩვეულებრივ აუდიტორიაში. კერძოდ,

- **შეარჩიეთ სასწავლო გარემო**, სადაც სხვა ადამიანების ხმაური არ შეგიშლით ხელს ლექციის მსვლელობაში. მოულოდნელი ხმაურის შეთხვევაში კი გამორთეთ თქვენი მიკროფონი.
- **დაბურული ფონის ფუნქცია** გამოიყენეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოგეთხოვებათ კამერის ჩართვა, მაგრამ თქვენთვის არასასურველი ფონი გაქვთ;

- არ დააგვიანოთ ვირტუალურ აუდიტორიაში შესვლა;
- ჩაიცვით სწავლისთვის/სწავლებისთვის შესაბამისად;
- ლექციის/სემინარის მსვლელობისას კამერის წინ დასაშვებია გამოჩნდეს მხოლოდ სტუდენტი, პედაგოგი;
- დაუშვებელია სხვა პირის ლექციაზე დასასწრებად მოწვევა;
- დაიცავით დისკუსიის წესები (ერთმანეთის მოსმენა, დროის განაწილება, რეგლამენტი, შეკითხვების დასმა და ა.შ.);



### **ვიდეო-ლექციის/სემინარის ჩაწერის წესი**

ვიდეო-ლექციის ჩაწერა უნდა მოხდეს მხოლოდ პედაგოგის მიერ. არ არის სავალდებულო ვიდე-სემინარების ჩაწერა. ვიდეო-ჩაწერის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი იქნება 48 საათის განმავლობაში. Teams-ის პროგრამაში შეზღუდულია ვიდეო-ჩაწერის სტუდენტის მიერ ჩამოტვირთვისა და გაზიარების უფლება. ვირტუალური ლექციის დროს დაუშვებელია სტუდენტმა გადაიღოს სურათი ან სხვა გზით ჩაწეროს ვიდეო, ხმა.

ვიდეო-ლექციის ჩაწერისას ზემოთ აღნიშნული წესის დაუმორჩილებლობა გამოიწვევს ეთიკის კოდექსის დარღვევას და დადგება მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.



### **პატივი ეცით პერსონალურ მონაცემებს**

როგორც თქვენ მოელით სხვებისგან კონფიდენციალურობას, ასევე პატივი ეცით სხვის პერსონალურ მონაცემებს;

ონლაინ შეხვედრების, ონლაინ-სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი გასაჯაროებისას. არ გამოაქვეყნოთ ინტერნეტ-სივრცეში პირადი ინფორმაცია, ფოტო, ვიდეო დაუკითხავად. დაექვემდებარეთ პირადულობისა და საავტორო უფლებების დაცვის მოთხოვნებს. ასევე, ფრთხილად იყავით საკუთარი პერსონალური ინფორმაციის გავრცელებისას.



სახელმწიფო ინსპექტორის რეკომენდაციები დისტანციური სწავლებასთან დაკავშირებით იხილეთ ბმულზე: <https://personaldata.ge/ka/recommendations>



### **პირადი მონაცემების გაზიარება**

ფრთხილად იყავით საკუთარი პერსონალური ინფორმაციის გავრცელებისას. მაგალითად, უსაფრთხოების მიზნით, არ გაუზიაროთ თქვენი პირადი პაროლი სხვას. თუ აღმოაჩენთ, რომ თქვენი პაროლი სხვასაც აქვთ, ან გაგიჩნდებათ ეჭვი, სასწრაფოდ მოითხოვეთ პაროლის შეცვლა/განახლება.



### **რა არის პლაგიატი**

**პლაგიატი** - სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი /მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი/ თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარს წარმოდგენას და გამოყენებას, ავტორის/წყაროს შესაბამისი მითითების გარეშე.



EEU-ში პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესი შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე, იხ. ბმული: <https://bit.ly/2UJ19iY>



### **ელექტრონული პლატფორმა ექვემდებარება მონიტორინგს**

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ელექტრონული პლატფორმების გამოყენება ექვემდებარება მონიტორინგს.



### **წიგნები წერილობითი კომუნიკაციისას (ელ-ფოსტა, „ჩატი“...):**

- ელექტრონული კომუნიკაცია მოითხოვს მეტ დროს, ამიტომ მიზანშეწონილია შეტყობინებები დაიწეროს მკაფიოდ, მოკლედ, კონკრეტულად.



- შეეცადეთ თავი აარიდოთ ჟარგონის, ბარბარიზმების, სლენგის გამოყენებას; წერილის გაგზავნამდე გაასწორეთ გრამატიკული შეცდომები;
- წერისას შეეცადეთ გამოიყენოთ სტანდარტული ფონტი და ზომა, ფრთხილად იყავით დიდი ასოებით წერისა და მახილის ნიშნების გამოყენებისას, რადგან ის მკაცრ ტონად ითვლება;
- შეინახეთ ე.წ. „სმაილები“ პერსონალური კომუნიკაციისთვის - დაფიქრდით, რომ შესაძლებელია „სმაილები“ საერთო „ჩატში“ კომუნიკაციისას არ მოეწონოთ თქვენს პროფესორებს. შეეცადეთ ნაკლებად გამოიყენოთ, რადგან ის უფრო შესაფერისია თქვენს მეგობრებთან სასაუბროდ ან მყისიერი შეტყობინებებისთვის;
- კომენტარის გაკეთებამდე წაიკითხეთ ყველა ის კომენტარი, რაც მანამდე იყო დაწერილი (არ აქვს მნიშვნელობა რამდენად ბევრია ის) და მხოლოდ მას შემდეგ მოახდინეთ უკუკავშირი, რადგან გაგზავნილი შეტყობინების წაშლის საშუალება აღარ გექნებათ; იმ შემთხვევაში, თუ თქვენი შეტყობინება მაინც გაუგებარი აღმოჩნდა, დაუყონებლივ შეასწორეთ თქვენი ნათქვამი ახალი შეტყობინებით;
- ონლაინ კომუნიკაცია შეიძლება საფუძველი გახდეს გაუგებრობის, რადგან ამ დროს ადამიანებს არ შეუძლიათ დაგინახონ და ასევე, თუ არ გიცნობენ, შესაძლებელია თქვენი შეტყობინება არასწორად აღიქვან. ამიტომ მაქსიმალურად შეეცადეთ იყოთ პოზიტიურები და გაითვალისწინოთ: დაფიქრდით, სანამ იტყვით; დაფიქრდით, სანამ დაწერთ.
- მოითხოვეთ დამატებით განმარტება - თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული რომ სწორად გაიგეთ მოწერილი, სთხოვეთ, რომ დამატებით განგიმარტონ.
- მოერიდეთ უარყოფითი კომენტარების განთავსებას „ჩატში“ ;
- არ წერო მართო შენ, სივრცე სხვებსაც დაუთმე;
- „ჩატში“/ფორუმში განათავსეთ მხოლოდ ის ინფორმაცია (საგნობრივი), რისთვისაც გაიხსნა „ჩატი“/ფორუმი

- არ გადატვირთოთ სისტემა ნორმაზე მეტი ან გამოუსადეგარი ელექტრონული ფაილებით (უკვე გამოუსადეგარი ფაილები შეგიძლიათ წაშალოთ სისტემიდან)



სტუდენტები და პერსონალი ვალდებული არიან დაემორჩილონ ონლაინ ქცევის წესებს, რაც ასევე მოიცავს ბულინგბე/ჩაგვრაზე ნულოვან ტოლერანტობას.



დამატებითი ვიდეო რესურსები „ნეტიკეტთან“ დაკავშირებით:

<https://www.youtube.com/watch?v=DwdqQjCfWSc>

<https://www.youtube.com/watch?v=tVqWcrMPxfY>



ნებისმიერი საექვო გარემოების შემთხვევაში დაგვიკავშირდეთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: [Info@eeu.edu.ge](mailto:Info@eeu.edu.ge)



Teams-ში გახსნილია ვირტუალური აუდიტორია ონლაინ შეხვედრებისა და კონსულტაციებისთვის, რის ფარგლებშიც თითოეულ სტუდენტსა და პერსონალს აქვს საშუალება გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები/შენიშვნები.